2024 წლის 27 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით ქ. ერევანში (სომხეთის რესპუბლიკა), სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - *„სომხეთი, როგორც ცივილიზაციური გზაჯვარედინი: ისტორიული და კულტურული კავშირები,“* მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სამეცნიერო მივლინებით იმყოფებიან: ინსტიტუტის დირექტორი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი **გიორგი ჭეიშვილი** (წარადგინა მოხსენება - „საქართველო და ქართველები XIII საუკუნეში: შიდა და გარე იდენტობა“); სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლავრენტი ჯანიაშვილი** (წარადგინა მოხსენება - „საოჯახო და სანათესაო ურთიერთობები სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში“), ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი** (წარადგინა მოხსენება - „ამიერკავკასიის ერთიანი ფინანსური სისტემა (1918-1919 და 1923-1924)“).